საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/53

ქ. ბათუმი 30 მარტი, 2021 წ

2021-2022 სასწავლო წლისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული „ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილებისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2021 წლის 29 მარტის MES 7 21 0000295049 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში (ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ველში) მობილობის განსახორციელებლად ბსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) 2021 წლის 30 მარტი - 14 აპრილი - კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება ელექტრონულ ბმულზე (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დახმარებით) http://registration.bsu.ge, erasmus@bsu.edu.ge - 10:00 სთ-დან 18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. (საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ კონკურსანტებმა, რომლებმაც ჩააბარეს (გადალახეს) საუნივერსიტეტო ტესტირება ინგლისურ ენაში ,,ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 2021 წლის 25 თებერვალს).

გ) 2021 წლის 15-16 აპრილი - საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ.

დ) 2021 წლის 19 აპრილი - გასაუბრება კონკურსანტებთან (ჩატარდეს საკონკურსო კომისიასთან (მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ.№32/35, ბსუ-ს

პირველი კორპუსი, ოთახი №35). გასაუბრების ზუსტი დრო დამატებით ეცნობებათ სტუდენტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე;

ე) 2021 წლის 20 აპრილი - კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში.

2. დამტკიცდეს საკონკურსო **კომისიის ძირითადი შემადგენლობა:**

ა) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე (თავმჯდომარე);

ბ) ირაკლი კორძაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი.

დ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

3. სტუდენტების კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით.

4. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ნათელა წიკლაშვილმა.

5. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს), საკონკურსო კომისიის წევრებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორის მოადგილეებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**